საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბრძანება N 01-10/38

ქ. ბათუმი 17 მარტი, 2020 წ.

,,ბსუ-ს სპეციალური სასწავლო სოციალური პროგრამის
სტუდენტთა შეღავათები სწავლის საფასურში" 2019-2020 სასწავლო წლის
გაზაფხულის სემესტრში განხორციელების მიზნით კონკურსის გამოცხადების შესახებ " ბსუ-ს
ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2020 წლის 28 თებერვლის №01-10/27 ბრძანებაში ცვლილების
შეტანის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 23-ე და 24–ე მუხლის, ბსუ-ს წესდების მე–15 მუხლის, ,,სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში სპეციალური სასწავლო სოციალური პროგრამის „სტუდენტთა შეღავათები სწავლის საფასურში" განხორციელების წესის დამტკიცების თაობაზე" ბსუ–ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2016 წლის 9 მარტის №4 გადაწყვეტილებისა და სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის, სტუდენტთა კარიერული განვითარების და მხარდაჭერის განყოფილების წამყვანი სპეციალისტის 2020 წლის 12 მარტის MES 5 20 00293622 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. შევიდეს ცვლილება ,,ბსუ-ს სპეციალური სასწავლო სოციალური პროგრამის სტუდენტთა შეღავათები სწავლის საფასურში 2019-2020 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში განხორციელების მიზნით კონკურსის გამოცხადების შესახებ" ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2020 წლის 28 თებერვლის №01-10/27 ბრძანების მე-3 პუნქტში და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

,,3. კონკურსის ჩატარების ვადები განისაზღვროს შემდეგნაირად:

ა) ბსუ-ს სტუდენტთა განცხადებებისა და საბუთების მიღების პერიოდი - **2020 წლის 18 მარტიდან 25 მარტის ჩათვლით**, ელექტრონულად: Portal.bsu.edu.ge-ზე (წერილი კანცელარიას მეშვეობით);

ბ) წარმოდგენილი განცხადებებისა და საბუთების საკონკურსო კომისიის მიერ განხილვის პერიოდი - 2020 წლის 26-27 მარტი;

გ) კონკურსის შედეგების გამოქვეყნება კომისიის სამუშაო ადგილზე (ბსუ-ს II კორპუსი, სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის სამუშაო ოთახთან და ბსუ-ს ვებგვერდზე)- არაუგვიანეს 2020 წლის 27 მარტი;

დ) კონკურსის შედეგების გასაჩივრება (აპელაცია) 2020 წლის 28 მარტი (ბსუ-სტუდენტური პორტალის მეშვეობით);

ე) საკონკურსო კომისიის მიერ სააპელაციო საჩივრების განხილვა და საბოლოო შედეგების ბსუ-ს ვებგვერდზე გამოქვეყნება - 2019 წლის 30 მარტი;

ვ) შეღავათის მინიჭების შესახებ ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანების გამოცემა 2020 წლის 31 მარტი.

2. ბრძანება გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე (ველებში ,,ბრძანებებში" და ,,სოციალური შეღავათების პროგრამები") და სტუდენტური პორტალის მეშვეობით დაეგზავნოს სტუდენტებს განცხადება წინამდებარე ბრძანების გაცნობის შესახებ.

3. ბრძანება გასაცნობად და აღსასრულებლად დაეგზავნოს რექტორს, რექტორის მოადგილეს (თ. სირაძე), სტუდენტებს, ფაკულტეტებს, სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურსა და იურიდიულ დეპარტამენტს.

3. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი ალექსანდრე მითაიშვილი